

Zoma K10

მაღალკონცენტრირებული სარეცხი/საწმენდი სადეზინფექციო საშუალება.

Zoma K10 არის მაღალკონცენტრირებული სარეცხი/საწმენდი სადეზინფექციო საშუალება კვების ობიექტებში მოწყობილობების ზედაპირების ერთეულებად გარეცხვისა და დეზინფექციისთვის.

ძირითადი თვისებები

Zoma K10 არის თხევადი სარეცხი-სადეზინფექციო საშუალება, რომელიც ერთდროულად წმენდს და ახდენს ყველა მყარი, წყალგამძლე ზედაპირის (მეტლახი, ლამინატი, პლასტიკი, მინა, მეტალი, დაცული ხე, წყალგამძლე საღებავით შეღებილი ზედაპირები, ბუნებრივი და არაბუნებრივი ქვა) დეზინფექციას. პროდუქტი გამოიყენება კვების ობიექტებში, საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, სატრანსპორტო საშუალებებში, ღია და დახურულ სივრცეებში - მოწყობილობების ზედაპირების გაწმენდისათვის.

Zoma K10 წარმოადგენს გამჭირვალე მოწითალო ფერის ხსნარს, დამახასიათებელი სუნით, შეიცავს ამონიუმის მეოთხედ და მესამედ ნაერთებს, როგორც ძირითად აქტიურ ნივთიერებებს ასევე დამხმარე კომპონენტებს, ნონიონური ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები, ორგანული გამხსნელები და სხვა, რაც ხდის **Zoma K 10**-ს ძალიან ეფექტურს მიკროორგანიზმების ფართო სპექტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

Zoma K 10 -ფორმულაცია მოიცავს ზედაპირულ-აქტიურ ნივთიერებებს, რის გამოც პროდუქტი გამოიყენება ერთდროულად როგორც წმენდის, ასევე დეზინფექციისთვის.

Zoma K10-ის უპირატესობები:

- აცილებს ცხიმს და ღრმად ჩამოხდარ ჭუჭყს.
- ეფექტურია მიკროორგანიზმების ფართო სპექტრის წინააღმდეგ, ხელს უწყობს ჰიგიენის დაცვას.
- ეფექტურია ხისტ წყალშიც კი. .

გამოყენების წესები:

მზა პროდუქციის გამოყენების შემთხვევაში (600მლ მოცულობის ბოთლში):

1. მოაცილეთ ზედაპირული ჭუჭყი.
2. შეასხურეთ ზედაპირებზე
3. გააჩერეთ მინიმუმ 5 წუთი.

კვების პროდუქტებთან შეხებაში არსებული ზედაპირები მთლიანად გადარეცხეთ სუფთა წყლით ან გადაამშრალეთ ჰიგიენური ქაღალდით, ან/და მიკროფიბრის სუფთა ნაჭრით, რომელიც განკუთვლილია მხოლოდ დეზინფექციის პროცედურისთვის და დატოვებთ გასაშრობად. (თუ ზედაპირი შედის კვების პროდუქტებთან კონტაქტში)

კონცენტრანტის გამოყენების შემთხვევაში

500 მლ ბოთლი სპრეით გამოყენების დროს (გაწმენდა და დეზინფექცია):

1. 500 მლ მოცულობის ბოთლი შეავსეთ წყლით და დაამატეთ 10 მლ Zoma K10.
2. მოაცილეთ ზედაპირული ჭუჭყი.
3. შეასხურეთ ზედაპირებზე
4. გააჩერეთ მინიმუმ 5 წუთი.
5. კვების პროდუქტებთან შეხებაში არსებული ზედაპირები მთლიანად გადარეცხეთ სუფთა წყლით ან გადაამშრალეთ ჰიგიენური ქაღალდით, ან/და მიკროფიბრის სუფთა ნაჭრით, რომელიც განკუთვლილია მხოლოდ დეზინფექციის პროცედურისთვის და დატოვებთ გასაშრობად. (თუ ზედაპირი შედის კვების პროდუქტებთან კონტაქტში)

გენერალური გაწმენდა და დეზინფექცია:

1. გამოიყენეთ 100 მლ კონცენტრანტი 5 ლ თბილ წყალში. (2%)
2. მოაცილეთ ზედაპირული ჭუჭყი
3. გამოიყენეთ ხსნარი ქსოვილით ან ჯაგრისით.
4. დატოვეთ 5 წუთი

5. კვების პროდუქტებთან შეხებაში არსებული ზედაპირები მთლიანად გადარეცხეთ სუფთა წყლით ან გადაამშრალეთ ჰიგიენური ქაღალდით, ან/და მიკროფიბრის სუფთა ნაჭრით, რომელიც განკუთვლილია მხოლოდ დეზინფექციის პროცედურისთვის და დატოვეთ გასაშრობად. (თუ ზედაპირი შედის კვების პროდუქტებთან კონტაქტში)

ძლიერ დაბინძურებული საგნებისთვის შესაძლოა (კონცენტრაციის გაორმაგება) დოზის გაზრდა გახდეს საჭირო.

ტექნიკური მონაცემები:

გარეგნული სახე	გამჭვირვალე წითელი სითხე
pH სუფთა	13.4
pH 1% ხსნარი	11.4
სიმკვრივე (20 °C)	1.05

აღნიშნული მონაცემები ტიპურია და არ გამოიყენება სპეციფიკაციების სახით.

ინფორმაცია უსაფრთხო გამოყენების და შენახვის შესახებ

სრული სახელმძღვანელო ამ პროდუქტის გამოყენების შესახებ მოცემულია ცალკე ნივთიერებების უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელში.

შეინახეთ ორიგინალ დახურულ კონტეინერებში, მთლიანად მალაღ ტემპერატურას და ბავშვებს.

მიკრობიოლოგიური მონაცემები

მოთხოვნით ხელმისაწვდომია შიდა ბაქტერიოლოგიური ანალიზის მონაცემები.

არსებული შეფუთვის ზომები:

Zoma K10- product code: K10 PRO -500ml (კონცენტრანტი, დოზატორით)

Zoma K10- product code: K10 Conc- 5000ml (კონცენტრანტი)

Zoma K10- product code: K10 HD- 600ml (აქაფებადი ტრიგერ/სპრეით, მზა გამოყენებისათვის)

მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელია განსხვავებული ზომის ქარხნული შეფუთვის დამზადება.

